

შპს „ აღმამშენი “

ს/კ 417892061

*ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის*

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალი და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5

შპს აღმამშენი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

თანხები მოცემულია ლარში.

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	3,272,462	325,546
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,149,178	512,651
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		200,000	269,274
მარაგები	4	4,643,355	2,083,764
სხვა მოკლევადიანი აქტივები	6	821,575	924,463
ძირითადი საშუალებები	3	1,378,041	1,458,969
სულ აქტივები		11,464,611	5,574,667
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	1,339,305	753,111
გამომუშავებული შემოსავალი		3,277,844	2,775,435
სულ ვალდებულებები		4,617,149	3,528,546
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		6,847,462	2,046,121
სულ საკუთარი კაპიტალი		6,847,462	2,046,121
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11,464,611	5,574,667

დირექტორი: რობიზონ საათაშვილი

ხელმოწერა:

შპს აღმამშენი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

თანხები მოცემულია ლარში

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები		5,867,135	4,576,514
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		5,867,135	4,576,514
გაყიდვების თვითღირებულება	10	(1,233,208)	(3,160,429)
საერთო მოგება		4,633,927	1,416,085
დასაქმებულთა ანაზღაურება		(44,453)	(42,086)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	3	(80,926)	(80,927)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	9	(75,875)	(70,819)
სულ საოპერაციო ხარჯები		(201,254)	(193,832)
საოპერაციო მოგება		4,432,673	1,222,253

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(26)	(10,116)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	4,432,647	1,212,137

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	4,432,647	1,212,137
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2,046,121	833,984
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	368,694	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6,847,462	2,046,121

დირექტორი: რობიზონ საათაშვილი

ხელმოწერა:

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა:

შპს „აღმამშენი“ დაფუძნდა 2017 წლის 09 ნოემბერს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად. მისი რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, გორის რაიონი, სოფელი სვენეთი კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 417892061

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია რობიზონ საათაშვილი (პ/ნ: 59001011567).

შპს „აღმამშენი“-ს ძირითადი საქმიანობაა: არასაცხოვრებო შენობა-ნაგებობის მშენებლობა და რემონტი, ძირითადად სამეწარმეო, გადამამუშავებელი და სამაცივრე მეურნეობების მოწყობა.

2. ფინანსურ ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ყოველთვიურად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გამოყენებულია შემდეგი საექსპლუატაციო ვადები

	სასარგებლო ვადა (წელი)
სატრანსპორტო საშუალებები	8-10
მანქანა-დანადგარები	10-15
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	5-8

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, 15% იანი განაკვეთით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება

დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში

3. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ბალანსი (31.12.2023)	20,000	1,509,983	10,000	1,539,983
შემოსვლა	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
ბალანსი (31.12.2024)	20,000	1,509,983	10,000	1,539,983
ცვეთა				
ბალანსი (31.12.2023)	(2,000)	(77,585)	(1,428)	(81,014)
ცვეთა	(2,000)	(77,498)	(1,429)	(80,927)
გასვლა	-	-	-	-
ბალანსი (31.12.2024)	(4,000)	(155,084)	(2,857)	(161,941)
ბალანსი (31.12.2024)	16,000	1,354,899	7,142	1,458,969

4. მარაგები

მარაგები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
საქონელი	3,549,134	1,935,160
ნედლეული და მასალები	1,094,220	148,604
სულ	4,643,355	2,083,764

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,149,178	512,651
სულ	1,149,178	512,651

6. სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

ფული და ფულის ეკვივივალენტები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
საგადასახადო აქტივი	821,575	924,463
სულ	821,575	924,463

7. ფული და ფულის ეკვივალენტები:

ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკე-2024	31-დეკე-2023
ნაღდი ფული სალაროში	3,267,171	325,010
ფული საბანკო ანგარიშებზე	5,291	536
სულ	325,546	325,546

8. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	31-დეკე-2024	31-დეკე-2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,339,305	19,520
გადასახდელი შრომის ანაზღაურება	0	200
საგადასახადო ვალდებულებები	0	13,453
სულ	1,339,305	43,173

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31-დეკე-2024	31-დეკე-2023
რემონტის ხარჯები	13,588	11,057
ტრანსპორტირების ხარჯი	0	6,267
საბანკო ხარჯი	5,706	2,911
სხვა საერთო ხარჯი	56,579	50,584
სულ	75,875	70,819

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31-დეკე-2024	31-დეკე-2023
პირდაპირი ხელფასი	765,843	414,289
ნედლეული და მასალები	3,257,476	2,746,140
სულ	4,023,319	3,160,429

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი: რობიზონ საათაშვილი

ხელმოწერა:

შპს აღმამშენი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

თანხები მოცემულია ლარში.

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	3,272,462	325,546
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,149,178	512,651
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		200,000	269,274
მარაგები	4	4,643,355	2,083,764
სხვა მოკლევადიანი აქტივები	6	821,575	924,463
ძირითადი საშუალებები	3	1,378,041	1,458,969
სულ აქტივები		11,464,611	5,574,667
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	1,339,305	753,111
გამოუმუშავებელი შემოსავალი		3,277,844	2,775,435
სულ ვალდებულებები		4,617,149	3,528,546
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		6,847,462	2,046,121
სულ საკუთარი კაპიტალი		6,847,462	2,046,121
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11,464,611	5,574,667

დირექტორი: რობინზონ საათაშვილი

ხელმოწერა:



შპს აღმამშენი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

თანხები მოცემულია ლარში

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები		5,867,135	4,576,514
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		5,867,135	4,576,514
გაყიდვების თვითღირებულება	10	(1,233,208)	(3,160,429)
საერთო მოგება		4,633,927	1,416,085
დასაქმებულთა ანაზღაურება		(44,453)	(42,086)
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	3	(80,926)	(80,927)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	9	(75,875)	(70,819)
სულ საოპერაციო ხარჯები		(201,254)	(193,832)
საოპერაციო მოგება		4,432,673	1,222,253
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(26)	(10,116)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		4,432,647	1,212,137
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		4,432,647	1,212,137
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		2,046,121	833,984
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		368,694	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		6,847,462	2,046,121

დირექტორი: რობიზონ საათაშვილი

ხელმოწერა:



11. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერს.



დირექტორი: რობიზონ საათაშვილი

ხელმოწერა: